

## სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა შობადობის თანამედროვე ტენდენციებზე

### ნაირა ვირსალაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, [naira.virsaladze@atsu.edu.ge](mailto:naira.virsaladze@atsu.edu.ge)

### მალვინა ყიფიანი

ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, [mavlina.kiphiani@unik.edu.ge](mailto:mavlina.kiphiani@unik.edu.ge)

**საკვანძო სიტყვები:** შობადობის და მოკვდაობის ტენდენციები; მოსახლეობის აღწარმოების ფორმები; შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტები; დემოგრაფიული განვითარების პროგრამა.

J.E.L. classification: J1, E6

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.25.11>

**ციტირებისთვის:** ვირსალაძე ნ., ყიფიანი მ., (2023) სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა შობადობის თანამედროვე ტენდენციებზე. ეკონომიკური პროფილი. ტ. 18, 1(25), გვ. 46–53. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.25.11>

### ანოტაცია

შობადობა მასობრივი დემოგრაფიული პროცესია და სოციალურ-ეკონომიკური, შიგა და გარე ფაქტორების გავლენის შედეგად მუდმივად განიცდის ცვლილებას. დროის სხვადასხვა მონაკვეთში, ამ ცვლილებათა ხარისხის გამო, იგი სხვადასხვა ტენდენციებით ხასიათდება. ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირ გავლენას ახდენს მოსახლეობის შობადობის ზოგად, ჯამობრივ და ასაკობრივ კოეფიციენტებზე. შესაბამისად, სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე დემოგრაფიული მდგომარეობის დამახასიათებელი ტენდენციები.

### შესავალი

ქვეყნის დემოგრაფიული ვითარება და დემოგრაფიული პროცესების ძირითადი მაჩვენებლები ცალსახად ასახავს მოცემულ ქვეყანაში

არსებული საზოგადოების სოციალურ - ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების წესს. მსოფლიოში ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ცვლილებები პირდაპირ არის დაკავშირებული დემოგრაფიულ ვითარებასთან და პირიქით. ეს ორი რეალურად ერთმანეთის განმსაზღვრელი და ერთმანეთზე დამოკიდებული ძალზე საყურადღებო საკითხებია, რომელთა დამოუკიდებლად განხილვა არასოდეს მოგვცემს აღნიშნულ მოვლენათა სრულფასოვნად შეფასების რეალურ სურათს. სწორედ ამიტომ, ამ საკითხების კომპლექსურ შესწავლას ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. კოვიდ-19 პანდემიამ და რუსეთ-უკრაინის ომმა არსებითად შეცვალა შობადობის „წონასწორობის“ რეჟიმი.

ისეთი პატარა და მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა შობადობის შემცირების გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები, საკმაოდ მტკივნეულ და დამაფიქრებელ მოვლენად იქცა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდანვე. ეს თემა მეტად აქტუალურად მიგვაჩნია დღესაც, რადგან ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო უარყოფითად იმოქმედა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე.

**ძირითადი ტექსტი**

მოსახლეობა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, საკმაოდ დინამიური და მობილური ფენომენია, რაც მის ბუნებრივ და მექანიკურ მოძრაობაში გამოიხატება. შობადობის მაჩვენებლებზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა და დემოგრაფიული ანალიზი ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს დემოგრაფიული პროცესების კვლევით დაინტერესებულთათვის.

საინტერესოა, მსოფლიოს მასშტაბით როგორი ტენდენციებია მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, როგორია მდგომარეობა საქართველოში და ძირითადად რა ფაქტორები ახდენს გავლენას მოსახლეობის აღწარმოებაზე.

შობადობის დონის მიხედვით, მსოფლიო არსებითად, ორ ნაწილადაა გაყოფილი. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ის დაბალია და მარტივ აღწარმოებასაც ვერ უზრუნველყოფს, ხოლო ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნებში ის მათზე 2-ჯერ მეტია (ცხრილი 1).

**ცხრილი 1.**

შობადობის დონე მსოფლიოში 1950-2020 წწ.

რეგიონი	შობადობის კოეფიციენტები					
	ზოგადი			ჯამობრივი		
	1950-1955	1995-2000	2020	1950-1955	1995-2000	2020
მთელ მსოფლიოში	37.3	22.1	20.0	5.0	2.7	2.4
განვითარებულ ქვეყნებში	22.0	11.2	11.0	2.8	1.6	1.6
განვითარებად ქვეყნებში	44.4	24.9	21.0	6.2	3.0	2.6
საქართველოში	25.5	11.5	12.5	2.59	1.5	2.0

წყარო: <http://demoscope.ru/weekly/app/world2020-2.php>.

შობადობის შემცირების ტენდენცია, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო, შენარჩუნებულია XXI საუკუნის ბოლო პერიოდისათვის. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მთელი მსოფლიოსათვის 2020 წლისათვის 2,4-ია, ყველაზე დაბალია ევროპაში (1,6), ყველაზე მაღალი – აფრიკაში (4,6). აფრიკის კონტინენტზე ყველაზე მაღალი შობადობა ნიგერიაში (7,3), სომალსა და ჩადშია (6,4). ამჟამად შობადობის განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებელია ევროპის შემდეგ ქვეყნებში: ანდორა, ბოსნია-ჰერცეგოვინა და რუმინეთი (1,2). ევროპის მსგავსად, დაბალია შობადობის დონე პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. მარტივი და გაფართოებული აღწარმოების დონეს მხოლოდ შუა აზიის რესპუბლიკები (ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი) ინარჩუნებენ, ხოლო მეტად დაბალია იგი მოლდავეთში (1,3).

**ცხრილი 2.**

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებში 2020 წლისათვის

	მსოფლიო	აფრიკა	აზია	ჩრდ. ამერიკა	ლათ.ამერიკა და კარიბის აუზი	ევროპა	ავსტრალია და ოკეანეთი
<b>K</b> მ.ჯ.	2,0	4.6	2.2	1.8	2.1	1.6	2.3

წყარო: [http://demoscope.ru/weekly/app/world2020\\_2.php](http://demoscope.ru/weekly/app/world2020_2.php)

შობადობა ასევე დაბალია საქართველოშიც. თუ 1981-1991 წწ. ქვეყანაში ყოველწლიურად საშუალოდ იბადებოდა 93,0 ათასი ბავშვი, 2000 წელს დაბადებულთა რიცხოვნობა თითქმის 2-ჯერ შემცირდა და 48.8 ათასი შეადგინა. 2010-2013 წლებში მოხდა უმნიშვნელო მატება, 2014 -2022 წლებში კი ახალშობილთა რიცხოვნობა

ნობა 18. 3 ათასით (60.6 ათასიდან 42.3 ათასამდე) ანუ 30%-ით შემცირდა. აღნიშნული მდგომარეობა უმეტესად განაპირობა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა და კოვიდ-19-ის პანდემიამ. შესაბამისად, შემცირდა შობადობის კოეფიციენტები. თუ 2014 წელს ყოველ 1000 კაცზე 16,9 ახალშობილი მოდიოდა, 2022 წლისათვის ეს მაჩვენებელი 11,4 -მდე შემცირდა (იხ.ცხრ. 3).

ცხრილი 3

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობისა და შობადობის საერთო კოეფიციენტების დინამიკა, 2010-2022 წლები

წლები	2010	2014	2015	2021	2022
ცოცხლად დაბადება (ათასი)	55,2	60.6	59.2	45.9	42.3
შობადობის კოეფიციენტები (‰)	14.6	16.9	15.9	12.4	11.4

წყარო: [https://www.geostat.ge/media/50652/Yearbook\\_2022.pdf](https://www.geostat.ge/media/50652/Yearbook_2022.pdf)

შობადობის დონის უფრო ზუსტი დახასიათების მიზნით დემოგრაფები ითვლიან შობადობის სპეციალურ კოეფიციენტს (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 4

შობადობის სპეციალური და ასაკობრივი კოეფიციენტები 2021 წლისათვის

ასაკობრივი ჯგუფი	დაბადებულთა რიცხვი $N_x$ (ათასი)	ქალების საშუალო რიცხვი $\bar{W}_x$ (ათასი)	შობადობის სპეციალური კოეფიციენტები (‰)
1	2	3	4 (სვ.2: სვ.3)
15-49 წლის მათ შორის,			
15-19	2.1	100.0	21.0
20-24	9.1	101.0	90.0
25-29	12.3	110.0	111.8
30-34	11.3	138.0	81.9

35-39	5.7	136.0	41.9
40-44	1.4	124.0	11.2
45-49	2.6	118.0	22.0

წყარო: მაჩვენებლები გაანგარიშებულია ავტორების მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/319/dabadeba>

შობადობის სპეციალურმა კოეფიციენტმა 2021 წლისათვის შეადგინა 57.5 პრომილი, რაც ნიშნავს იმას, რომ წლის მანძილზე 15-49 წლის ყოველ 1000 ქალზე საშუალოდ მოდის 57.5 ახალდაბადებული. შობადობის სპეციალური და ასაკობრივი კოეფიციენტების დინამიკა ასეთი მაჩვენებლებით ხასიათდება (იხ.ცხრილი 3).

ცხრილი 5

შობადობის სპეციალური და ასაკობრივი კოეფიციენტების დინამიკა საქართველოში 1990-2021 წლებში

ასაკობრივი ჯგუფები	1990	2000	2021	1990-2021
1	2	3	5	6
15-49 წლის მათ შორის	67.8	41.7	57.5	1.17
15-19	58.1	39.9	21.0	2.7
20-24	167.3	110.2	90.0	1.86
25-29	110.5	74.4	111.8	0.99
30-34	64.1	43.3	81.9	0.78
35-39	24.7	19.9	41.9	0.58
40-44	6.2	4.9	11.2	0.55
45-49	0.3	0.9	22.0	0.014

წყარო: სტატისტიკური წელიწადული 2010, 2015 და 2022.

N4 ცხრილში მოტანილი მონაცემების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები: შობადობის სპეციალური კოეფიციენტი 2021 წელს 1990 წელთან შედარებით შემცირდა 1.17-ჯერ, რაც ნიშნავს გადასვლას მცირეშვილიანობაზე. ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში მდგომარეობა ასეთია: 15-19 წლის ასაკობრივ

ჯგუფში აღნიშნული კოეფიციენტი 2.7-ჯერ, ხოლო 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში 1.86-ჯერ შემცირდა. დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში ის ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ შობადობის ასაკი თანდათან იზრდება. შობადობის როგორც ზოგადი, ისე სპეციალური კოეფიციენტის სიდიდეზე და ორ პერიოდში მის დინამიკაზე გავლენას ახდენს საკუთრივ შობადობის ინტენსივობა და ასაკობრივი სტრუქტურა.

ცხრილი 6  
შობადობის დონის საინდექსო ანალიზი საქართველოში 2010-2021 წლებში

მაჩვენებლები	2010	2021
მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობა $\bar{S}$ (ათასი)	4452,8	3708,6
რეპროდუქციული ასაკის ქალების საშუალო წლიური რიცხვი $\bar{W}_{15-49}$ (ათასი)	1170,0	816,1
$\frac{\bar{W}_{15-49}}{\bar{S}} = C$	0,26 (26,0%)	0,22 (22,0%)
შობადობის ზოგადი კოეფიციენტი $n = F \times C$ (‰)	13,9	12,4
შობადობის სპეციალური კოეფიციენტი $F = \frac{N}{\bar{W}_{15-49}}$ (‰) 445	53,5	56,2

**წყარო:** ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ ეროვნული სტატისტიკის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით

მე-5 ცხრილში მოტანილი მონაცემების საფუძველზე გავიანგარიშეთ შობადობის დინამიკა შობადობის ზოგადი კოეფიციენტის ინდექსით ( $I_n$ ):

$$I_n = \frac{n^1}{n^0} = \frac{F^1 \times C^1}{F^0 \times C^0} = \frac{12.4}{13.9} = \frac{56.2 \times 0.22}{53.5 \times 0.26} = 0.89$$

ე.ი.  $I_n = 89\%$ , რაც ნიშნავს, რომ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 2010-2021 წლებში შემცირდა 11%-ით (100-89), აღნიშნული ცვლილება გამოიწვია როგორც შობადობის ინტენსივობის (სპეციალური კოეფიციენტის), ისე მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ერთობლივი ცვლილებებმა. შობადობის დინამიკაზე შობადობის ინტენსივობის გავლენის დასადგენად ვისარგებლოთ შობადობის სპეციალური კოეფიციენტის ინდექსით ( $I_F$ ):

$$I_F = \frac{F^1 \times C^1}{F^0 \times C^1} = \frac{56.2 \times 0.22}{53.5 \times 0.22} = \frac{12.364}{11.77} = 1.05$$

$I_F = 105.0\%$ , ე.ი. 2010-2021 წლებში შობადობის სპეციალური კოეფიციენტის (შობადობის ინტენსივობის) ზრდის შედეგად გაიზარდა 5%-ით (105-100=5).

შობადობის ზოგად კოეფიციენტზე ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების გავლენა გავიანგარიშოთ სტრუქტურული ძვრების ინდექსით,  $I_C$

$$I_C = \frac{F^0 \times C^1}{F^0 \times C^0} = \frac{53.5 \times 0.22}{53.5 \times 0.26} = \frac{11.77}{13.91} = 0.85$$

ე.ი.  $I_C = 85\%$ , რაც ნიშნავს იმას, რომ 2010-2021 წლებში რეპროდუქციული ასაკის (15-49 წ) ქალების ხვედრითი წილის 26 %-დან 22%-მდე შემცირებამ გამოიწვია შობადობის ზოგადი კოეფიციენტის შემცირება 15%-ით (100-85=15). მამასადამე, მოსახლეობაში შობადობის დონე განისაზღვრება დემოგრაფიული სტრუქტურით (სქესის, ასაკის, ქორწინებითი და ოჯახის სტრუქტურით) და რეპროდუქციული ქცევით.

დემოგრაფიული სტრუქტურის გავლენით შობადობის ზრდა შესაძლებელია, თუ სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა დეფორმირებული არ არის და პროგრესულია. მოსალოდნელია ქორწინების მაღალი სიხშირე და, შესაბამისად, ბავშვთაშობის ზრდაც. მნიშვნელოვანია სქესთაშორის თანაფარდობა რეპროდუქციულ ასაკში. თუ რომელიმე სქესში მოკვდაობის დონე მაღალია, შესაბამისად, ადგილი აქვს ქორწი-

ნების დაბალ დონეს და ბავშვთაშობის კლებას. ამასთან, როცა მოკვდაობა მაღალია, ქორწინებაში ყოფნის ხანგრძლივობა მცირეა, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვთაშობაზე.

ბუნებრივ-ბიოლოგიური ფაქტორები ქალთა რეპროდუქციული ასაკის ხანგრძლივობას გულისხმობს. რეპროდუქციული ასაკი განისაზღვრება 16-დან 50 წლამდე. რეპროდუქციული ასაკის განმავლობაში ქალმა შეიძლება იმშობიაროს საშუალოდ 10-12-ჯერ. ასეთ პირობებში შობადობის კოეფიციენტი შეიძლება მიაღწიოს მაქსიმალურ მაჩვენებელს და შეადგინოს 50-60‰. შობადობის ასეთ მაღალ დონე ძირითადად ფიქსირდება სუსტად განვითარებულ საზოგადოებებში. აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში შობადობის დონე თითქმის 50‰-ს ტოლია. შობადობის დონეზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, განსაკუთრებით კი ოჯახში ქალის უფლებრივი მდგომარეობა. ტრადიციული ტიპის საზოგადოებებში ბავშვთა ყოლაზე გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის მამაკაცს. აზიისა და აფრიკის საზოგადოებებში მიღებულია, რომ ოჯახში ერთი ვაჟიშვილი მაინც უნდა იყოს, რადგან ის განიხილება ოჯახის ქონების ძირითად მემკვიდრედ. ბოლო პერიოდში ქალთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად ამალდა მისი როლი ოჯახის დაგეგმვის საქმეშიც.

დემოგრაფიული კვლევებით დადასტურდა, რომ განათლების დონის ამალლებასთან ერთად საზოგადოებაში მცირდება შობადობის დონე. ახალგაზრდები ქორწინდებიან 25-30 წლის ასაკში და არა 20 წლამდე ასაკში. განვითარებად ქვეყნებშიც კი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებს შორის შობადობის დონე გაცილებით დაბალია. საცხოვრებელი ადგილების მიხედვით შობადობის ანალიზის ცხადყოფს, რომ სასოფლო დასახლებებში შობადობა უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქებში. ურბანიზაციის პროცესმა განსაკუთრებული როლი ითამაშა შობადობის დონის შემცირე-

ბაში. ქალაქებში შრომათმოწყობის შესაძლებლობები გაცილებით მეტია, ვიდრე სოფლად. შობადობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისები, ომები, პანდემია. შობადობაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს რელიგიური მრწამსი და მის შედეგად ჩამოყალიბებული ტრადიციები. მსოფლიოში გავრცელებული ყველა რელიგია მხარს უჭერს საზოგადოებაში მაღალი შობადობის არსებობას და მისი თავიდან აცილების ხელოვნური ხერხების (მაგ., აბორტების) წინააღმდეგ ილაშქრებს.

საქართველოში შობადობის მაჩვენებელზე მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონია კოვიდპანდემიამ. ბოლო პერიოდში კი საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა მოხდა არა ბუნებრივიმატების, არამედ რუსეთ-უკრაინის ომის ფაქტორით და იმიგრაციის ტალღის ზრდით. რეალურად ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის ზრდა არ მომხდარა. უფრო მეტიც, ქვეყნის მოსახლეობის აღწარმოებაზე ინტენსიურად დაიწყო და აგრძელებს გავლენას მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან შექმნილი დემოგრაფიული მდგომარეობა. სწორედ, ამ პერიოდიდან იწყება ქვეყანაში შობადობის მნიშვნელოვანი შემცირება და ამასთან ერთად იმ სოციალურ-ეკონომიკური შიგა და გარე ფაქტორების ზემოქმედება, რომელიც კიდევ უფრო გაამძაფრა ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა მოვლენებმა და უარესობისკენ შეცვალა საქართველოს დემოგრაფიული სიტუაცია.

### დასკვნა

დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს საკუთარი „თამაშის წესები“ აქვს, რომელსაც მოცემული ეკონომიკური სისტემა განაპირობებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარე ფაქტორებიც, რომელსაც ადგილი აქვს მთელ მსოფლიოში, მეზობელ ქვეყნებში, ახლომდებარე რეგიონებში. სწორედ, რიგი შიგა და გარე ფაქტორების გავლენის შედეგია ის, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის ბუნებ-

რივი მატების საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. გაცილებით უფრო არასასურველი შედეგებია მოსალოდნელი, რადგან პრობლემები, რომელმაც აქამდე მიიყვანა ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივი მატება, იგივე „რეჟიმით“ გრძელდება.

აღნიშნული პრობლემების შესწავლა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების კომპლექსური შემუშავება უნდა მოხდეს რაც შეიძლება მოკლე დროში და, აუცილებლად სამთავრობო დონეზე, რადგან არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოუდგენელია დემოგრაფიული განვითარების პროგრამის გარეშე.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ხმალაძე მ., ჩიტალაძე ქ., (2020) დემოგრაფიული სტატისტიკა, თბ., თსუ.

2. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2017;

3. ვირსალაძე ნ. (2022) ხალხთმოსახლეობის ეკონომიკა და ეკონომიკური დემოგრაფია. ლექციების კურსი, ქუთაისი.

Демскоп Weekly. Институт демографии НИУ ВШЭ им. А.Вишневого. №849, 2020. URL: <http://demoscope.ru/weekly/app/world2020-2.php>

4. The impact of demographic change on European regions. 2020.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი - [www.statistics.ru](http://www.statistics.ru)